



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ინგლისური ფილოლოგია

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

18.03.24

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს



გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შეფასების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი მარიამ

გვარი კილანავა

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
---	--



დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ინგლისური ფილოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
3	კვალიფიკაციის დონე ²	დონე 6
4	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of English Philology
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0231 ენის დაუფლება / 0231 Language Acquisition
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13კმ
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 07/02/2023 MES 5 23 0000138508
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 07 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი, 2024 წლის 07 თებერვალი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 7 თებერვალი

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. საბაკალავრო პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს მისაღწევი ენობრივი კომპეტენციის მხოლოდ ერთი დონე CEFR თანახმად პროგრამის მიზნების, შინაარსის, პროფილის და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით და ორაზროვნების/ზუნდოვნების თავიდან აცილების მიზნით.
2. საჭიროა, შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა მაქსიმალურად მომზადების მიზნითა და მათი დასაქმების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით, ბიზნესისა და პროგრამაში დასახელებულ დასაქმების სფეროებთან - ტურიზმი და მას-მედია ასოცირებული აქტივობების გამრავალფეროვნება, კონკრეტულად, ბიზნესის, ტურიზმისა და მას-მედიის მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ან პროგრამაში აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მითითება. ბიზნესსა და ტურიზმთან მიმართებით, ასევე განიხილება „ინგლისური ენის, როგორ უცხო ენის სწავლების (TEFL)“ სპეციალური მიმართულებიდან “ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP) “ შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის- ბიზნეს ინგლისურის, ინგლისური ტურიზმისთვის ან კომბინირებული ვერსიის „ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის“ (English for Business and Tourism) დამატების შესაძლებლობაც);
3. აუცილებელია, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების გადახედვა ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი შედეგის შეფასების კუთხით;
4. მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე პროგრამის სავალდებულო ბლოკი გაძლიერდეს დარგობრივი (ინგლისური) ლიტერატურის ისტორიის ამსახველი საკითხებით.
5. მნიშვნელოვანია, მოხდეს უცხო ენების კურსების კრედიტთა შესაბამისი გადანაწილება პროგრამით გათვალისწინებულ რაოდენობასთან (20 კრედიტი) მიმართებით.

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 23 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების შესახებ ანგარიში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, შპს შავი ზღვის უნივერსიტეტის მხრიდან, 2024 წლის 7 თებერვალს იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესწავლილ იქნა შესასრულებელი რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების თვალსაზრისით. აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 5-ვე რეკომენდაცია შესრულებულია, რაც ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს. შავი ზღვის უნივერსიტეტის მხრიდან მოცემული ანგარიშის დოკუმენტი ასახავს შემდეგი სახის ინფორმაციას, რეკომენდაციათა შესრულების თაობაზე - *კუმანტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ავილირებული პროფესორი, დოქტ. მათა ჩქოტუა, ავილირებული პროფესორი, დოქტ. ავილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტ. მარიამ ბანძელაძე, ავილირებული ასისტენტ პროფესორი, დოქტ. ნატო პაჩუაშვილი, ავილირებული ასისტენტ პროფესორი, მომზადების დროს პროგრამის ხელმძღვანელი კონსულტაციებს გადიოდა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან... აღნიშნული ჯგუფი პერიოდულად ხვდებოდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორ ქალბატონ ნინო ჯოჯუას და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან ნანობაშვილს (ანგარიში. გვ.7). რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას, სილაბუსებს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებისა და უნივერსიტეტის მხრიდან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის მიმართვის დამადასტურებელ დოკუმენტს.*

რჩევები⁸

1. ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ზოგადად საერთაშორისო გამოცდილების მიღების კუთხით სტუდენტების მეტად გააქტიურება;
2. სასურველია, პროგრამის მიღების წინაპირობაში მოცემული იყოს კონკრეტული რიცხოვრივი მაჩვენებლები საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



3. სასურველია კურსში - „აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები“ უფრო მეტად გამოიკვეთოს მეთოდის, შედეგისა და მოცემული/პრაქტიკულად გამოყენებული ლიტერატურის ურთიერთმიმართება;
4. სასურველია, თუ დაწესებულება გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციიდან დამატებითი მოდულის ამოქმედების შემდეგ განახორციელებდა მონიტორინგს და იმსჯელებდა ახალი მოცემულობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და დასახვეწ დეტალებზე;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 23 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე შავი ზღვის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 4 რჩევა. წარმოდგენილი ანგარიშისა და სხვა დოკუმენტაციის შესწავლით იკვეთება, რომ აღნიშნული რჩევებიდან შპს. შავი ზღვის უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ ერთი, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნის დოკუმენტით გათვალისწინებული რჩევათა შესრულების არასავალდებულო ხასიათით. მოცემულ შემთხვევაში, ინსტიტუციის მხრიდან გათვალისწინებულ რჩევაზე მუშაობა, რეკომენდაციების შესრულებაზე მოცემული ზემოთ ხსენებული ინფორმაციის იდენტურია და წარმოდგენილი ანგარიშის დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციათა შესრულების აღწერასთან ერთად.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩე(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
-------------------------------------	--

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით



კომპონენტის დასახელება ¹³	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I ¹⁴	საბაკალავრო პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს მისაღწევი ენობრივი კომპეტენციის მხოლოდ ერთი დონე CEFR თანახმად პროგრამის მიზნების, შინაარსის, პროფილის და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით და ორაზროვნების/ბუნდოვნების თავიდან აცილების მიზნით.
აღწერა	მოცემული რეკომენდაცია ენის ფლობის კონკრეტული დონის განსაზღვრის თაობაზე, ინსტიტუციის მხრიდან, გათვალისწინებულ იქნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი პროგრამითაც. კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში როგორც მიზნის, ასევე შედეგების ნაწლში ჩაწერილია - პროგრამის მიზნია კურსდამთავრებულები ფლობდნენ ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) B2 დონეზე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად), ხოლო ერთ-ერთი შედეგის მიხედვით - იყენებს ლინგვო-კულტურულ კომპეტენციას, რომელიც საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2 დონეს (პროგრამა გვ.4). აღნიშნული, როგორც რეკომენდაციითაც არის ნაგულისხმევი, მიემართება პროგრამით გათვალისწინებულ შინაარსს და ის სავალდებულო კომპონენტების სახით მისაღწევი ინგლისური ენის ფლობის მინიმუმ დონეს განსაზღვრავს (ამას, ინგლისური ენის სახვადასხვა უნარზე გათვლილ კურსებთან ერთად, FCE 1, FCE 2 კურსებიც უზრუნველყოფს). აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁵	ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ზოგადად

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაციაგადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	საერთაშორისო გამოცდილების მიღების კუთხით სტუდენტების მეტად გააქტიურება;
აღწერა	უნივერსიტეტის მხრიდან, რჩევის გათვალისწინების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, რჩევა არ არის გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ol style="list-style-type: none"> 1. საგანმანათლებლო პროგრამა; 2. სილაბუსები; 3. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; 4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7.02.23 გადაწყვეტილება.

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II ¹⁶	საჭიროა, შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა მაქსიმალურად მომზადების მიზნითა და მათი დასაქმების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით, ბიზნესისა და პროგრამაში დასახელებულ დასაქმების სფეროებთან - ტურიზმი და მას-მედია ასოცირებული აქტივობების გამრავალფეროვნება, კონკრეტულად, ბიზნესის, ტურიზმისა და მას-მედიის მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ან პროგრამაში აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მითითება. ბიზნესსა და ტურიზმთან მიმართებით, ასევე განიხილება „ინგლისური ენის, როგორ უცხო ენის სწავლების (TEFL)“ სპეციალური მიმართულებიდან “ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP) “შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის- ბიზნეს ინგლისურის, ინგლისური

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ტურიზმისთვის ან კომბინირებული ვერსიის „ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის“ (English for Business and Tourism) დამატების შესაძლებლობაც).
აღწერა	რეკომენდაციათა შესრულების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით იკვეთება, რომ უნივერსიტეტის მხრიდან მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება და შესაბამისად, პროგრამაში სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოდგენილია 5 კრედიტიანი, კომბინირებული კურსი - ინგლისური ენა ბიზნესისა და ტურიზმისთვის. მოცემული კურსის მიზანია შესძინოს სტუდენტებს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ სჭირდებათ ინგლისური ენის სპეციალობით საქმიანობის წარმართვისთვის ტურიზმისა და ბიზნესის სფეროში (გვ.2). კურსი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეხმიანება შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა ამ მიმართულებით მომზადების საჭიროებებს, ეს კი, თავისთავად, უკავშირდება მათი დასაქმების რეალურ პერსპექტივებსაც, რაც რეკომენდაციაშიც იყო აღნიშნული. მოცემულ სასწავლო კურსში წარმოდგენილია უახლესი (2023 წლის) ლიტერატურა და კურსით გათვალისწინებული თემატიკა დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციათა გაძლიერებასთან ერთად, თანაბრად ფარავს როგორც ტურიზმის, ასევე ბიზნესის საკითხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁷ II	-
აღწერა	-
მტკიცებულებ(ებ)ა	1. საგანმანათლებლო პროგრამა; 2. კურსის სილაბუსი - ინგლისური ენა ბიზნესისა და ტურიზმისთვის;

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7.02.23 გადაწყვეტილება.
--	--

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია III ¹⁸	აუცილებელია, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების გადახედვა ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი შედეგის შეფასების კუთხით.
აღწერა	წარმოდგენილი ანგარიშის, საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტთა შესწავლით იკვეთება, რომ პროგრამის შედეგში შეტანილი ცვლილებების (CEFR-ის გათვალისწინებით B2 დონის მითითება) შესაბამისად, პროგრამის შედეგების გაზომვა ხდება სასწავლო კურსით “ინგლისური ენის კომპეტენცია II (FCE II)”, რომლის დასრულების შემდეგაც სტუდენტი შეძლებს B2 დონის კომპეტენციის დადასტურებას. აღნიშნული კურსი, შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდების გათვალისწინებითა (ღია და დახურული შეკითხვები, ესეც, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალებები, სემინარი. გვ.3) და პროგრამის შედეგების შეფასების რუკის მიხედვით, ეხმიანება პროგრამის 4 შედეგს, რომელთაგან ერთ-ერთი სტუდენტის მხრიდან სწორედ B2 დონის კომპეტენციის დადასტურებაზე მიუთითებს - <i>იყენებს ლინგვო-კულტურულ კომპეტენციას, რომელიც საერთო ევროპული სარეკომენდაციო</i>

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2 დონეს (გვ. 4). აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁹ III	-
აღწერა	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ol style="list-style-type: none"> 1) საგანმანათლებლო პროგრამა; 2) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; 3) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; 4) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7.02.23 გადაწყვეტილება.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV ²⁰	მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე პროგრამის სავალდებულო ბლოკი გაძლიერდეს

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	დარგობრივი (ინგლისური) ლიტერატურის ისტორიის ამსახველი საკითხებით.
აღწერა	<p>წარმოდგენილი ანგარიშისა კურსების სილაბუსების შესწავლით ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტა ჩამონათვალში შეტანილია ორი კურსი - “ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა I” (5კრედიტი) და “ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა II” (5კრედიტი). მოცემული სილაბუსების მიზანია სტუდენტებს გააცნოს ინგლისური ლიტერატურა, დაწყებული ადრეული საუკუნეებიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე (ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა I) და მე-18 საუკუნის ბოლოდან დღემდე (ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა II). ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა II, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით მიემართება პროგრამის 4 შედეგს, რომელთაგან ორი პირდაპირ გულისხმობს ლიტერატურასთან დაკავშირებულ ასპექტებს. აღნიშნული კურსი, პროგრამის შედეგების შეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია იმ კურსების ჩამონათვალში, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებაში მონაწილეობს.</p> <p>მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ რეკომენდაცია, უნივერსიტეტის მხრიდან, შესრულებულია.</p>
რჩევა ²¹ IV	-
აღწერა	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ol style="list-style-type: none"> 1. საგანმანათლებლო პროგრამა; 2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; 3. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების

²¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;</p> <p>4. სილაბუსები;</p> <p>5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7.02.23 გადაწყვეტილება.</p>
--	---

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია V ²²	მნიშვნელოვანია, მოხდეს უცხო ენების კურსების კრედიტა შესაბამისი გადანაწილება პროგრამით გათვალისწინებულ რაოდენობასთან (20 კრედიტი) მიმართებით.
აღწერა	<p>ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილია პროგრამაში სტუდენტთათვის შეთავაზებული უცხო ენის ყველა დონის (A1.1.-B2), 5-5 კრედიტიანი სილაბუსი, რაც 20 კრედიტის ფარგლებში თანაბრად გადანაწილების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, წარმოდგენილია ქართული ენის 6, ფრანგული ენის 7, გერმანული ენის 7, რუსული ენის 6 და თურქული ენის 7 სილაბუსი. როგორც უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილ ანგარიშშია აღნიშნული, ინსტიტუციამ შეიმუშავა ქართული ენის ყველა დონის სილაბუსი და სრული სახით წარმოადგინა, რაც მოცემული სილაბუსებითაც დასტურდება. გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციას აქვს გამოცდილება იმისა, რომ უცხო ენის არჩევის შემთხვევაში სტუდენტთა მხრიდან ყოველთვის არ ხდება უცხო ენის შესწავლა საწყისი</p>

²²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>დონიდან ბოლო დონემდე (აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტის მხრიდან ექსპერტთა დასკვნის საპასუხო დოკუმენტშიც იყო წარმოდგენილი გვ.4), შესაბამისად, შესაძლებელია ენის დონის დამადასტურებელი შიდა ტესტით მიღებული შედეგების გათვალისწინებით, მოხდეს არჩეული უცხო ენის შესაბამისი დონიდან დაწყება და 20 კრედიტის ფარგლებში შესწავლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სტუდენტთა მხრიდან უცხო ენის შესწავლა საწყისი დონიდან პროგრამით გათვალისწინებულ ბოლო დონემდე, კრედიტთა მეტი რაოდენობის დათმობა გახდება საჭირო. აქვე უნდა ითქვას, რომ ექსპერტთა დასკვნის პროექტის საპასუხო დოკუმენტში უნივერსიტეტს აღნიშნული ჰქონდა, რომ სტუდენტთა მხრიდან სავალდებულოა უცხო ენის 20 კრედიტის დაფარვა, რაც პირდაპირ სულაც არ უკავშირდება დონეებს (გვ.4).</p> <p>უნივერსიტეტის მხრიდან უცხო ენების კურსების წარმოდგენილი სილაბუსებისა და ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ²³ IV	-
აღწერა	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ol style="list-style-type: none"> 1) საგანმანათლებლო პროგრამა; 2) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; 3) სილაბუსები; 4) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7.02.23 გადაწყვეტილება; 5) უნივერსიტეტის პასუხი ექსპერტთა დასკვნის პროექტზე.

²³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია V ²⁴	-
აღწერა	-
რჩევა ²⁵ V	სასურველია, პროგრამის მიღების წინაპირობაში მოცემული იყოს კონკრეტული რიცხობრივი მაჩვენებლები საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში.
აღწერა	აღნიშნული რჩევა უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი პროგრამით, კერძოდ, ჩანაწერს, რომელიც ეხებააპლიკანტთა/აბიტურიენტთა მხრიდან საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში პროგრამისთვის დადგენილ ზღვრულ მინიმუმს (FCE, TOEFL, IELTS და ა.შ. სქოლიოს ფორმატში ერთვის ქულათა ჩამონათვალიც - FCE-159; TOEFL IBT – 71; IELTS -4.5.), რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით უტოლდება B 1 დონეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იკვეთება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. საგანმანათლებლო პროგრამა; 2. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების

²⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;</p> <p>3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 7.02.23 გადაწყვეტილება.</p> <p>4. https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/first/results/</p>
--	---

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია VI ²⁶	-
აღწერა	-
რჩევა ²⁷ VI	სასურველია კურსში - „აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები“ უფრო მეტად გამოიკვეთოს მეთოდის, შედეგისა და მოცემული/პრაქტიკულად გამოყენებული ლიტერატურის ურთიერთმიმართება.
აღწერა	უნივერსიტეტის მხრიდან, რჩევის გათვალისწინების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, რჩევა არ არის გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	

²⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	5.სწავლების შესაძლებლობები	ხარისხის	განვითარების
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება		
რეკომენდაცია VI ²⁸	-		
აღწერა	-		
რჩევა ²⁹ VI	სასურველია, თუ დაწესებულება გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციიდან დამატებითი მოდულის ამოქმედების შემდეგ განახორციელებდა მონიტორინგს და იმსჯელებდა ახალი მოცემულობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და დასახვეწ დეტალებზე.		
აღწერა	უნივერსიტეტის მხრიდან, რჩევის გათვალისწინების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, რჩევა არ არის გათვალისწინებული.		
მტკიცებულებ(ებ)ა			

თანდართული დოკუმენტაცია³⁰

ექსპერტის ხელმოწერა *ქ. კელაშნაძე*

²⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁰თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა